ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

განკარგულება:**g-69.69221855**

თარიღი:**04/07/2022**

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული რეგიონული განვითარების ასოციაციების საქმიანობის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის განხილვის შესახებ

განხილული იქნა რა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მიმდინარე წლის 28 მარტს გადმოგზავნილი N 002197/18 მომართვის თანახმად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული რეგიონული განვითარების ასოციაციების საქმიანობის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 24-ე მუხლის მე -2 პუნქტისა და 61 -ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. სახელმწიფო აუდიტის ანგარიშში მითითებული მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის საქმიანობაში აღმოჩენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით დაევალოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს, მერიის შესაბამისი სამსახურის მეშვეობით სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით უზრუნველყოს დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციასთან კოორდინირებული საქმიანობა, პრაქტიკაში დანერგონ საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშების მოსმენა, სადაც განხილული იქნება წლის განმავლობაში დაგეგმილი სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების მდგომარეობა და შეუსრულებლობის მიზეზები.

დანერგოს კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს საქმიანობის შედეგების გაუმჯობესებას და საბიუჯეტო თანხების ეფექტიან ხარჯვას.

მუხლი 2. განკარგულების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საკრებულოს განათლების, კულტურის და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიას, რომელმაც ინფორმაცია განკარგულების შესრულების მიმდინარეობის შესახებ საკრებულოს წარმოუდგინოს მიმდინარე წლის ნოემბრის თვეში.

მუხლი 3.განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4 .განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N 7).

მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი